

## დედა: დენოტაცია, კონოტაცია და ცნებითი მეტაფორუსი

ენაში სიტყვის მთავარ ფუნქციად ნომინაციურობა მიიჩნევა. ნომინაციის, როგორც მოვლენის, ბუნებიდან გამომდინარე კი ჭირს მისი წარმოდგენა ოდენ შიგაენობრივ პროცესად; აյ ხომ უამრავი სოციოკულტურული ფაქტორი იჩენს თავს. ამ მხრივადც თვალსაჩინოა განსხვავებები სხვადასხვა ენასა და, შესაბამისად, სხვადასხვა ენობრივ მსოფლხელვას შორის.

სწორედ სხვადასხვა ენისა და კულტურის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა შესწავლისა და შედარების გზით კოგნიტიურ ლინგვისტიკაში მომუშავე სპეციალისტები მივიღნენ იმ დასკვნა-მდე, რომ, რადგანაც ბუნებრივ ენაში არსებული კატეგორიები იმავე ტიპისაა, როგორც სხვები ჩვენს ცნებითს სისტემაში, ხოლო მონაცემები ენობრივი კატეგორიების შესახებ ხელს შევიწყობს უკეთ ჩავწედეთ კოგნიტიურ კატეგორიებს, მაშინ ცხადი ხდება ყოველი ენის, როგორც აზრების უნიკალური ორგანიზაციისა და მათი წარმოქმნის განსხვავებული წესების ერთობლიობათა, განუზომელი მნიშვნელობა.

ამგვარი თვალსაზრისის გაძლიერებას ხელი შეუწყო მეტაფორის ცნების ჩამოყალიბებამაც. ტრადიციული შეხედულებით, „მეტაფორიზება სიტყვისა უფრო მხატვრული ენის თვისებაა“ (ლლონტი, 1988, გვ. 26). კოგნიტივისტები კი ამ საკითხს სრულიად განსხვავებულად უდგებიან: „უმრავლესობისათვის მეტაფორა პოეტური აზროვნების საშუალება და რიტორიკული მაღალფარდოვნებაა — უფრო ექსტრაორდინარული, ვიდრე ჩვეულებრივი ენის საგანი. უფრო მეტიც, მეტაფორა, როგორც წესი, განიხილება მხოლოდ ენის კუთვნილებად, უფრო სიტყვების და არა აზრებისად.“

ბისა და ქმედების მახასიათებლად. ამის გამო ბევრს ჰგონია, რომ უმეტაფორმოდაც იოლად გავლენ ფონს. ჩვენ დავინახეთ, რომ მეტაფორა შეაღწევს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში არა მარტო ენაში, არამედ აზრსა და ქმედებაშიც. ჩვენი ჩვეულებითი ცნებითი სისტემა, რომელზე დაყრდნობითაც ჩვენ კიდეც ვაზროვნებთ და კიდეც ვმოქმედებთ, თავიდან ბოლომდე მეტაფორულია თავისი არსით” (ლაკოფი და ჭონიშვილი, 1980, გვ. 3). ვინაიდან ამ მეტაფორულობის თავისებურებათა გამოვლენის საუკეთესო საშუალება ენაა, ამიტომაც გამორჩეულ მნიშვნელობას ვანიჭებთ მოცემული ენისათვის დამახასიათებელი ცნებითი მეტაფორების წარმოჩენას. ნიშანდობლივია, რომ ყველაზე ნათლად სწორედ აქ აშკარავდება განსხვავებები სხვადასხვა ენობრივ მონაცემზე დამყარებულ ეროვნულ მსოფლხედვას შორის. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს განსხვავებები ფიქსირდება ერთი შეხედვით საყოველთაო ცნებების შემთხვევაშიც.

პროცედურა, რომლის მიხედვითაც წინამდებარე ნაშრომში განზრაბული გვაძეს ამ თავისებურებათა წარმოჩენა, შემდეგია: საანალიზოდ ავილეთ სიტყვა დედა. თავდაპირველიც წარმოვადგენთ მის ძირითად მნიშვნელობას, ხოლო შემდეგ იმ გადატანით მნიშვნელობებსაც, რომელთა საფუძველზედაც ქართულში შექმნილია (და იქმნება) შესაბამისი ცნებითი მეტაფორები. ამ გზით შევეცდებით გამოვავლინოთ ამ ცნების, როგორც პროტოტიპული სტრუქტურის, კოგნიტიური დიაპაზონის პირის შემთხვევაში. იმისათვის რომ წარმოდგენილ მასალას უფრო მეაფიო გამოსახულება მივანიჭოთ, ქართული მაგალითების პარალელურად უცხოენოვანი მონაცემებიც იქნება გამოყენებული. ამის საჭიროებას ისიც ადასტურებს, რომ „მოცემული კულტურის ყველაზე არსებითი ლიტერატულებები უშუალო კავშირშია ყველაზე არსებითი ცნებების მეტაფორულ სტრუქტურასთან ენაში“ (ლაკოფი და ჭონიშვილი, 1980, გვ. 22).

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რეატომეულში დედას დენოტაციური მნიშვნელობა შემდეგი სახითაა მოცემული:

„დედა (დედისა, ზოგჯერ დედასი) 1. ქალი თავისი შვილების მიმართ, — შშობელი (ქალი)“ (ქეგლ, III, 1953, სვ. 1113).

შემდეგ მოცემულია რამდენიმე კონოტაცია:

„2. ძვ. ქალი, დედაკაცი, [...] 3. ზოგიერთი დედალი ფრინ-

ველი, ცხოველი ან მწერი თავისი შვილების მიმართ. 4. იხმარება ნამატის მომცემი ან კიდევ შვილებიანი ზოგიერთი ცხოველისა, ურინველისა და მწერის მსაზღვრელად (იწერება ცალკე). 5. გამოხატავს ზოგიერთი არსებითი სახელის მდედრობით სქესს (იწერება ერთად)“ (ქეგლ, 1953, სვ. 1113-1114).

ამას კი მოსდევს შემდეგი გადატანითი მნიშვნელობები:

„6. გადატ. რაც რისამე წყაროა, რაც დასაბამის, სიცოცხლის მომცემია, — რისამე საფუძველი, წარმომშობი, სათავე, საწყისი. 7. გადატ. მთავარი, ძირითადი (იწერება ერთად)“ (ქეგლ, III, 1953, სვ. 1114).

სწორედ ის ფაქტი, რომ დედა სიტყვით ქართულში შესაძლებელია ზემომოყვანილი მნიშვნელობების (ვგულისხმობთ ბოლო ორს) გაღმოცემა, არის საფუძველი ამ ცნების კოვნიტური დიაპაზონისა, რაც საცნაური ხდება ცნებითი მეტაფორების საშუალებით:

(1) დედაზრი — „წიგნ. ძირითადი, მთავარი აზრი. [...] სახელმძღვანელო აზრი, შეხედულება, მოსაზრება“ (ქეგლ, III, 1953, სვ. 1115-16).

(2) დედაარსი — „წიგნ. მთავარი არსი, არსებითი მხარე; ბუნება, რაობა“ (ქეგლ, იქვე, სვ. 1116).

(3) დედაბოძი — „1. ძველი ქართული სახლის — დაჩბაზის — მთავარი ბოძი, დგას შუაში, მოელი სახურავი მასზეა დაყრდნობილი; [...] 2. წიგნ. გადატ. (რისამე) საფუძველი, მთავარი საყრდენი, ქვაკუთხედი. || ლერძი, მამოძრავებელი ძალა“ (ქეგლ, იქვე).

(4) დედაბუდე — „გადატ. წყარო, სათავე“ (ქეგლ, იქვე, სვ. 1117).

(5) დედაბურჯი — „მთავარი ბურჯი“ (ქეგლ, იქვე).

(6) დედაშიჭა — „1. მზის სისტემის ცთომილი (პლანეტა), რომელზედაც განვითარებულია ორგანული სიცოცხლე და წვენ

ვცხოვრობთ. [...] მთელი ქვეყანა, მსოფლიო“ (ქეგლ, იქვე, სვ. 1119).

აღსანიშნავია, რომ ქართულ დედამიწას მოეპოვება პარალელები ზოგიერთ ევროპულ ენაში (ინგლ. mother earth, გერმ. Mutter Erde და ა.შ.), თუმცა ეს „დამთხვევა“ ბიბლიიდან იღებს სათავეს: „შიშველი გამოვედი დედის მუცლიდან და შიშველი დავბრუნდები იქ“ (იობი 1.21). ამასთან დაკავშირებით თ. გასტერი მიუთითებს, რომ „არავინ ბრუნდება დედის მუცელში. მაშასადამე, სიტყვა იქ უნდა გავიგოთ დეიქტურად: მთქმელი მიუთითებს მიწაზე იმის მინიშნებით, რომ ის არის ყველა ადამიანის დედა“ (გასტერი, 1969, გვ. 786). და მაინც, აღნიშნული ცნებითი მეტაფორა ჩვენი პლანეტის სახელწოდებად მხოლოდ ქართულში ფიქსირდება.

(7) დედაქალაქი — „სახელმწიფოს მთავარი ქალაქი, ჩვეულებრივ, მთავრობისა და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ადგილსამყოფელი (სინონ. ძვ. სატახტო ქალაქი)“ (ქეგლ, იქვე, სვ. 1120). ძველ ქართულში ამ სიტყვის დერივატებიც ჰქონდა: დედაქალაქელი, დედაქალაქობად (სარჩველაძე, 1995, გვ. 75).

(8) დედაციხე — „მთავარი ციხე“ (აბულაძე, 1973, გვ. 139).

(9) დედაძარღვი — „წიგნ. გადატ. არსებითი მხარე, საფუძველი, ძირითადი, მთავარი (აზრი)“ (ქეგლ, 1953, გვ. 1121).

გამორჩეული ყურადღება უნდა დაუუთმოთ კიდევ ერთ მაგალითს:

(10) დედაენა — „1. ენა, რომელსაც ბავშვობიდანვე ითვისებს ადამიანი მშობელთაგან და მახლობელთაგან და ყველაზე უფრო ბუნებრივია მისთვის ლაპარაკსა და აზროვნებაში; ენა, რომელზედაც პირველად ამეტყველდება ბავშვი და რომელიც ურთიერთობის საშუალებაა იმ საზოგადოებისა, რომლის წევრიც თვითონ არის, — მშობლიური ენა, ღვიძლი ენა“ (ქეგლ, იქვე, გვ. 1114).

როგორც ცნობილია, სხვა ენებშიც მოიპოვება მსგავსი

ფორმულა მშობლიური ენის აღსანიშნავად (მაგ.: ინგლ. mother tongue, გერმ. Muttersprache, ფრანგ. langue maternelle, ესპ. lengua materna, შვედ. modersmål და ა. შ), თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ევროპულ ენებში ამ სიტყვათშეხამებას ქართულისაგან განსხვავებული სოციოეულტურული მოტივაცია ჰქონია. სხვათა შორის, ციცერონი ლათინურს „მამათი ენას“ (sermo patria) უწოდებდა. ამასთან დაკავშირებით, ე. ჰაუგვინი იხსენებს იმ ფაქტს, რომ შუა საუკუნეების ევროპაში მხოლოდ მამაკაცები იღებდნენ განითლებას (რაც ლათინურ ენაზე ხდებოდა), ხოლო ქალები მოწოდებული იყვნენ მხოლოდ საოჯახო საქმეების საკეთებლად, მათ შორის ბავშვების აღსაზრდელად; დედები კი თავიანთ შვილებს ესაუბრებოდნენ არა მკვდარ ლათინურზე (რომელიც მათ არ იცოდნენ), არამედ თავიანთ შშობლიურ ენაზე. შესაბამისად, ლათინური ითვლებოდა „მამის ენად“, რადგან იგი იყო მწიგნობრული ენა, დასავლეთ ევროპის ერთა ცოცხალი ენები კი „დედის ენად“, რაღაც „ადრეულ შუა საუკუნეებში იგი ძირითადად წარმოადგენდა კნინობით (ზაზი ჩვენია — ზ. კ.) ტერმინს ქალებისა და ბავშვების, ე. ი. წერა-კითხვის უცოდინარი ხალხის, ენის აღსანიშნავად... იგი გაჩნდა იმისათვის, რომ აესახა ახლებური დაბირისპირება მამაკაცებისა და ქალების ენას შორის“ (ჰაუგვინი, 1991, გვ. 82).

როგორც ვხედავთ, ტერმინ **დედაენას** წარმოშობას სპეციფიკური სოციალური პირობები ეღია საფუძვლად დასავლეთ ევროპაში განვითარებადი ქვეყნებიდან მიგრირებული ან ადგილობრივი, ძირძველი ეროვნული უმცირესობის ენათა აღსანიშნავად (სკუტნაბ-კანგასი, 1981). ამით იმის თქმა გვინდა, რომ ქართული და ევროპული ენების „მასალობრივი დამთხვევა ამ შემთხვევაში არ ნიშნავს მსოფლებლითს იგივეობას; პირიქით, ქართულში მსაზღვრელი დედა მთავრისა და ძირითადის აღმნიშვნელია, ევროპულ ენებში კი — მეორებარისხოვნისა, როგორც ეს ზემომყვანილი მაგალითის შუქშე გამოჩნდა.

აქვე უნდა გაესვას ზაზი კიდევ ერთ კონკრეტულ შემთხვევას, რომელიც ააშეარავებს ამა თუ იმ ტიპის ცნებითი მეტაფორის პოვნიერება-არაპოვნიერების პრაგმატულ ლირებულებას. როგორც ცნობილია, თავის ლროზე საბჭოთა კავშირში გატარებული ასიმილაციონისტური პოლიტიკის შენილბვის მიზნით რუ-  
210

სულენოვან პუბლიკაციებში შემოთავაზებული იყო ტერმინი  
второй родной язык („Менялж მშობლიური ენა“). Несмотря на то что, в  
том же 1975 году в Академии наук Азербайджана было высказано мнение о том, что  
нужно использовать в Азербайджане азербайджанский язык в качестве языка  
объединения народов (доктор филологических наук Гаджи Алиев, 1963; профессор  
Гаджи Алиев, 1973), но в Азербайджане не было предпринято никаких  
мер по внедрению азербайджанского языка в общественную жизнь. Азербайджанский  
язык был официально признан языком Азербайджанской Республики в 1991 году  
и с тех пор он используется в Азербайджане как государственный язык. Но в Азербайджане  
не было предпринято никаких мер по внедрению азербайджанского языка в общественную  
жизнь. Азербайджанский язык был официально признан языком Азербайджанской  
Республики в 1991 году и с тех пор он используется в Азербайджане как государственный  
язык.

Азербайджанский язык был официально признан языком Азербайджанской Республики в 1991 году и с тех пор он используется в Азербайджане как государственный язык. Но в Азербайджане не было предпринято никаких мер по внедрению азербайджанского языка в общественную жизнь. Азербайджанский язык был официально признан языком Азербайджанской Республики в 1991 году и с тех пор он используется в Азербайджане как государственный язык.

(II) **დედანი** — „1. თავდაპირველი ტექსტი, საიდანაც პირი  
გადააქვთ (გადაწერით ან გადაბეჭდით) ან რომლის მიხედვითაც  
აწყობენ (სტამბაში) — ძირითადი ტექსტი, ორიგინალი. [...] 2.  
იმ ენაზე დაწერილი, რომელზედაც შეიქმნა, — ორიგინალი (ტექ-  
სტი)“ (ქეგლ, 1953, ს. 1120).

ღირსსაცნობია, რომ ამ სიტყვის ძველქართული ფორმაა  
დედა (=დედანი): „დაიწერეა... დედისა გან საბა წმიდისა“ -  
1741, 297ჩ; „რომელ დედას ა ეწერა, მე იგი დამიწერია“ იქვე,  
281ჩ“ (აბულაძე, 1973, გვ. 138).

ენობრივი ფასეულობანი წარმოაჩენს ჩვენს კულტურულ  
ფასეულობებს, მათ, რომლებიც თაობებიდან თაობებზე გადაისუ-  
ლან; ეს თაობები კი არა მარტო საზრდოობენ ამ ფასეულობე-

ბით, არამედ ავითარებენ კიდეც მათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი იყვნენ და არიან იმდენად მნიშვნელოვანი სასიცოცხლო ძალისანი, რომ მათი შემდგომი გავრცელა-განვითარება აბსოლუტურად კანონზომიერი და ბუნებრივი პროცესია. ენაში ამგვარი შეტაფორმების მოშლა კი მოასწავებს შემეცნების კრიზისს. სწორედ ამიტომ არიან ისინი მსოფლიხედითი ღირებულების მქონენ.

### ლიტერატურა

აბულაძე, 1973 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი.

ვერონინი, 1975 — В. А. Аврорин, Проблемы изучения функциональной стороны языка. Ленинград.

ბაზიევი და ისაევი, 1973 — А. Т. Базиев, М. И. Исаев, Язык и нация. Москва.

გასტერი, 1969 — Th. H. Gaster, Myth, Legend and Custom in the Old Testament. London.

ლაკოფი და ჭონიშვილი, 1980 — G. Lakoff, & M. Johnson. Metaphors We Live by. Chicago.

სარჩველაძე, 1995 — ზ. სარჩველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი.

სკუტნაბ-კანგასი, 1981 — T. Skutnab-Kangas, Tvåsprålighet. Lund.

ქეგლ, 1953 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. რვატომეული, ტ. III. თბილისი.

ღლონტი, 1988 — ა. ღლონტი, ქართული ენის ლექსიკოლოგის საფუძვლები. თბილისი.

ხანაზაროვი, 1963 — К. Х. Ханазаров, Сближение наций и национальные языки в СССР. Ташкент.

ჰაუგენი, 1991 — E. Haugen, The "Mother Tongue". In R. L. Cooper & B. Spolsky (eds). The Influence of Language on Culture and Thought. Berlin & New York.